

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2012 წლის 31 იანვრის სხდომის

ოქმი №1

სენატის სხდომას წევრთა სიითი შემადგენლობის 25 წევრიდან ესწრებოდა 24.

სხდომა გახსნა სტუ-ს რექტორმა, პროფ. არჩილ ფრანგიშვილმა და სხდომის თავმჯდომარეობა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულების თანახმად, სთხოვა სენატის უხუცეს წევრს პროფ. ნოდარ ქაჯაიას.

სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სტუ-ს სენატის ახლადარჩეული წევრების უფლებამოსილების ცნობა;
2. სტუ-ს სენატის სპიკერის არჩევნები.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით სენატის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სენატის არჩევნების შედეგები და ერთსულოვნად ცნეს ახლადარჩეული წევრების უფლებამოსილება.

სპიკერობის კანდიდატად დასახელდა პროფ. ჯემალ გახოკიძე. სპიკერის არჩევნები ფარული კენჭისყრით ჩატარა ხმის დამთვლელმა კომისიამ შემდეგი შემადგენლობით: პროფ. დავით ჯაფარიძე (თავმჯდომარე), პროფ. მერაბ ახოვაძე (მდივანი), ლადო გოთუა.

კენჭისყრის შედეგად, ხმის დამთვლელი კომისიის სხდომის შემაჯამებელი ოქმის თანახმად, პროფ. ჯემალ გახოკიძემ მიიღო 24 ხმა.

სხდომამ დაამტკიცა ხმის დამთვლელი კომისიის სხდომის შემაჯამებელი ოქმი და სტუ-ს სენატის სპიკერის თანამდებობაზე ერთხმად აირჩია პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარე

პროფესორი

ნოდარ ქაჯაია

მდივანი

თამარ ბუზიაშვილი